

ଶ. ଅଞ୍ଜନ

T. ANJAN

ହୋଟ ଥରୁପାତା

MA TRIBUNE

№ 1

୧୯୬୨ ମସିମ୍ବର, 1962.

ପ୍ରାଣିଷ୍ଠା
Paris, 1962

ଲେଖକ: ଶ. ଅଞ୍ଜନ



୩୭/୩-୧୨

ჩვენი გზა

უანა მოსალოდნელია, რომ მომავალ კონფერენციას ოთხთა სახელმწიფოთა შორის (თუ მოხდა) უმაღლეს საფეხურზე — რაიმე დადებითი შედეგი მოჰყვეს? არა მკონია. ხრუშჩოვი მშვიდობიან თანაარსებობას პირდება და მოითხოვს კიდევ, მარა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ყველაფერში მას დაუთმონ! ასე, რომ ასეთი „თანაარსებობა“ ემსგავსება ისეთს, როგორიც არსებობს მშერ ადამიანსა და ერთ ნაკერ პურს შორის.

ყოველ შემთხვევაში, თუ რუსებმა რამეს ხელი მოაწერეს (თუ ეს მათ სასარგებლოთ მოეჩვენათ), არავითარი მნიშვნელობა და ფასი არ ეჭნება, ვინაიდან მათვის ეს იჭნება ერთი კიდევ ზედმეტი ჭალალდის ჩვარი, რომელსაც დახევენ, როცა ეს მათ მოეპრიანებათ.

მართლაც, რამდენი ხელშეკრულება დადვეს რუსებმა მრავალ ერებთან, მარა თითქმის ყველა დაარღვიეს. საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება, როცა მათ იცვნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, რით გათავდა? დიდი ხანი არ გასული, რუსის ჯირი მხეცურად შეესია ჩვენს სამშობლოს და დაიკავა, და დღემდის კიდევ იქ იმყოფება (მათი მორიალი ერთად ერთია: უხეში ძალა!); საქართველომ დაკარგა თავისუფლება, დამოუკიდებლობა.

მას შემდეგ მრავალ ბედნიერ ერებმა უკვე მოიპოვეს თავისუფლება. ძველი კოლონიები უკვე განთავისუფლდენ, ან განთავისუფლების გზას აღვიან; რუსეთის კოლონიები არა თუ კიდევ ტავეობას განიცდიან, მათ კიდევ მიემატა მეორე ომის შემდეგ, სხვა ტავე-ერები, უკვე ევროპიელები...

დღეს რუსეთის გარდა არც კი არსებობს იმპერიალისტური, ან კოლონიალური სახელმწიფო (თუმცა ყველას ის ასეთათ ნათლადას!). მიუხედავათ ამისა და, საუბედუროთ, — და რისთვის, კაცმა არ იცის — ამას არ უსაყველურებენ მას სერიოზულათ, ან საკმაოთ ენერგიულათ. ისე

კი თითქოს ყველა ერთა თვითგამოწევების უფლების მომნერეა — სიტყვით, რასაკვირველია! წარმოიდგინეთ: რუსეთიც კი ვითომდა ამასვე „მოითხოვს“... სხვებისა-გან, ვინაიდან — ყველამ იცის — ის ერები, რომელნიც მან დაიპყრო, უკვე არიან... „განთავისუფლებულნი“! სხვების განთავისუფლება მას ჯერ მართლაც სურს, მარა იმ განზრახვით, რომ შემდეგში ყველანი ხელში ჩაივ-დოს, სხვა და სხვა საშუალებით: თავზე დაცემით (თუ შესაძლოა), მოტყუილებით, ლაჭუცობით, ფულითა და საჭონლის „ჩუქებით“...

წარსულში დასავლეთმა — საუბედუროთ — იცადა, სანამ რუსეთი გამაგრდებოდა, მისი (დასავლეთის) საშუ-ალებითა და მეოხებით: ცნობილია, რომ მან გადაარჩინა ბოლშევიკური რუსული იმპერია დალუპვისაგან, დანა-წილებისაგან. ამერიკის ნივთიერი დახმარებით გამაგრდა ის და ეხლა კი ისეთია მდგომარეობა, რომ რუსის ჯარის გარეკა სხვა სახელმწიფოებიდან შესაძლებელი ხდება მხოლოდ ომის საშუალებით; წინეთ კი ამისათვის ომი არ იყო საჭირო. არამედ პოლიტიკური გამჭრიახობა და მდგომარეობის ცოდნა: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (რუსეთი ძვირად დაუჯდა ამერიკას) ამერიკასა და ევ-როპას რომ მოეთხოვათ სერიოზულათ და ულტიმატუ-მით იმ ერთა განთავისუფლება, რომელნიც რუსეთის მკაფი, პარბორსულ და მძიმე უღელში დროვინავენ — იმ დროს მხოლოდ ამერიკის ებადა ატომიური ყუმბა-რები — რუსები ურალისაკენ მოკურცხლავდნ. დღეს კი გვიანდაა და... უვიცები ფიქრობენ ბოლშევიკების მოშინაურებას, გადემოკრატებას და სხვა.


რა თქმა უნდა, ომს ყველა გაუჩინის, ვინაიდან ამ უამათ ის იქნება საშინელება და მას გაბედავს და და-იწყებს მხოლოდ გიუი, რადვან — ყველასათვის ნათელია — რომ ის დაანგრევს მსოფლიოს, მოსპობს ცივილიზა-ციას, გასწყვეტს უამრავ ხალხს და ვერავინ, არა თუ მოიგებს, ყველა წაგებული დარჩება და ყოველის მხრივ*)

*) მიუხედავათ რუსების ყოყოჩინებისა. რომ ისინი სხვებს გასწყვეტენ და თვითონ კი დარჩებიან ამ ქვეყნათ და „მოგებული!“...

მაში, რა მოელის ტყვე ერებს, რა მოგველის ჩვენ,
ჩვენს საქართველოს?

რა თქმა უნდა, ჩვენც გვეშველება ერთ დღეს —
ამაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს. მთელმა აფრიკამ
და აზიამ დაახწიეს თავი მათ ბატონებს და ჩვენ როგორ
და რათ უნდა შევადგენდეთ გამონაკლისს? ნახევრათ
ველურ ხალხმაც კი მოიპოვა დამოუკიდებლობა! განა
უთუოთ შავი, თუ ყვითელ კანიანი უნდა იყო რომ გან-
თავისუფლდე?

ვერც ერთი ერი ვერ დარჩება სხვის მონობაში და გა-
უნთავისუფლებელი, თუ კაცობრიობას სურს გაუმჯობე-
სება, პროგრესი, ადამიანური ცხოვრების ტარება; თუ
მას სურს მიაღწიოს განიარაღებას, და მოსვოს ომი. მხო-
ლოდ ამ გზით შესაძლოა მშვიდობიანობის დამყარება.
სხვა გზა არ არსებობს. ყოველგვარი კონფერენციები,
(და უთვალავი იყო ამ უკანასკნელ წლებში) მხოლოდ
ლაუბობაა, წყლის ნაყვაა; ფუჭი ოცნებაა სხვა გზით მი-
ზანს მიაღწიონ. გაშ, ამ გვარათ, თუ იმპერიალიზმი და
კოლონიალიზმი ვაჭრა, მას თავის თავათ მოყვება განი-
არაღებაც: იარაღის გასაჭედათ არ იქნება არავითარი
რეზონ დეტრ.



რა გზას უნდა დავაღვეოთ ჩვენ?

მტერი ზედმიწევნით სასტიკია: მიუხედავათ იმისა,
რომ მტერი-ჩუქუცითი საქართველოს იდლესასწაულებს მის
მიერ მის დაპყრობის დღეს, 21 თებერვალს, ესე ივი, მის
გაუბედურობას (ასეთი კინიზმი იქამდის არსაღ და არა-
სოდეს არ ვაგონილა!), ჩვენი ხალხი არ დაივიწყებს, მი-
უხედავათ მკაცრი პირობებისა და მხეცური ღიკებური-
სა იმ ბრწყინვალე დღეს, 26 მაისს, როცა კვლავ დაიბადა
მისი სუცერენობა და უნდა იყოს დარწმუნებული, რომ
დაპყროვს უამი — ვინ იცის უფრო ახლოა, ვინემ მოსა-
ლოდნელია (ისტორიამ იცის სიურპრიზები, ვანსაკუთ-
რებით, როცა საკითხი შეეხება რუსეთს) — დაპყროვს
უამი, როცა მტერი აბარგდება საქართველოდან და ერთ
კვლავ მოიპოვებს დამოუკიდებლობას.

რა თქმა უნდა, ამისათვის მას. სხვა ერებთან ერ-
თაღ, დასჭირდება გრძოლა ხელსაყრელ პირობებში.

მარა რა გზით, რა საშუალებით შეეძლება დაჩაგრულ
ერებს — და აგრეთვე საქართველოს — დაიბრუნონ თა-
ვისუფლება?

ეს საშუალება არის შინაგანი ძალა, ხალხი და მისი
მოძრაობა. დიდი უმეტესობა ყველა ჩაგრულ ერთა ტი-
რანულ დამპყრობელის წინააღმდეგია. თვით ერთა სა-
შოში უნდა დაიბადოს დემოკრატიული მოძრაობა. ციხე
შიგნიდან გატყდება. უნდა მომზადდეს და შეიქმნას რე-
ვოლუციური ორგანიზაციები, შეიქმნას თავგანწირული
ჯგუფები, რომელნიც პროპაგანდის საშუალებით შეი-
კავშირებენ და შეაგნებინებენ მას მის მდგომარეობას.
ყველა ერებში დემოკრატიისა და სოციალურ სამართლი-
ანობის იდეა — მე ვფიქრობ — საკმაოთ და ღრმათ გა-
მჯდარია და მის მოპოვებას სულით და გულით მოელიან.

რა უნდა დაუპირდაპირდეს ოკუპანტების დიქტატუ-
რას და მათ სოციალურ „პროგრამას?“*) დემოკრატი-
ული და სოციალური, იდეა და მისი პროგრამა, რომელიც
შეიცავს ხალხთა სუცერენობას, დემოკრატიას, ეროვნულ
დამოუკიდებლობის, სოციალური სამართლიანობის და-
მყარებას. ხალხის უოველმხრივი განთავისუფლება უნდა
გახდეს ერების ლოზუნებათ.

მაშ, ბრძოლა იწნება ეროვნული და რევოლუციური,
და ოკუპანტების ვითომდა კომუნიზმს (სოციალურ სა-
კითხში) ჩვენ დაუუპირისპირებთ, ეროვნულთან ერთათ,
სოციალურს, ეკონომიკურს: მშრომელის ემანსიპაციას, რო-
ცა მას შეეძლება თვით გამოსჭეროს თავისი ბედი და
თავი დააღწიოს უცხო დიქტატურას, პოლიტიკურს, თუ

*) ძველ, მეფის რუსეთს ჯვარი ეკავა ხელში და ვი-
თომ ქრისტიანობის „გასავარცელებლათ“ ეცემოდა თავზე
სხვებს და იპყრობდა მათ. დღეს კი ბოლშევიკური რუ-
სეთი იმასვე სჩადის: ხოლო ჯვარის მაგიერ მას უჭირავს
ხელში ნამგალი და ჩაჭური და ავრცელებენ ცრუ, ყალბ
„კომუნიზმს“. ერთი შეწვი, მეორე მოხრაკე! აურესიუ-
ლი იმპერიალიზმი ერთი და იგივეეა, მიზანი და შედეგიც
იგივეა.

(ამ ბოლო დროს ახალი „სამლელელოებაც“ კი გამო-
ჩეკა, რომელსაც ბოლშევიკები იმპერიალისტურ დუღუ-
ჭე ამღერებენ!).

სოციალურს. ჩვენი ბრძოლა იქნება ერისა და ადამიანის უფლებისათვის ბრძოლა.

ჩვენ კი აქ, ჩვენის მხრით უნდა გავსწიოთ მუშაობა თავისუფალ ქვეყნებში, ევროპასა და ამერიკაში, ყოველ გვარ სასურველ სფეროში: მუშათა ორგანიზაციებში, დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებში, შეერთებულ ერთა ორგანიზაციაში (ო.ნ.უ.), (მიუხედავათ იმისა, რომ ის ხშირად უძლურებას იჩენს და განსაკუთრებით მაშინ, როცა რუსეთია დანაშაული), რომ ამათთა თანავრძნობა და სხვა და სხვა გვარი დახმარება მოვიპოვოთ.


ჩვენ, ისე როგორც რუსეთის მიერ ყველა ჩაგრულ ერებს მრავალი მეგობრები გვყავს ყოველგან; მსოფლიო დემოკრატია ზიზლით შესცერის რუსთა აღვირისნილ „დიპლომატიას“, მის მოქმედებას, მათ თავზე ხელ აღებულ დემაგოგიას. ყველამ უწყის დღეს, თუ რას წარმოადგენს მათ მიერ გამოგონილი „სახალხო დემოკრატია“, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს არც ხალხთან და არც დემოკრატიასთან. ყველამ შეიგნო დღეს, რომ ამ — უცაცრავათ პასუხია — „დემოკრატიით“ რუსეთი ტერორის საშუალებით თავის ბატონობას ამყარებს ხოლმე.

მარა დიქტატურა და ტირანია მუდამ ვერ იმედებენ. მათი ბედი ერთ დღეს გაღაწყილება, განსაკუთრებით ამ ეამათ. როცა ხალხი იქნებს ნამდვილ მდგომარეობას. ბოლოს და ბოლოს ვერავითარი ძალი ვერ მოახერხებს შეაჩეროს მშრომელი ხალხის სურვილი და მისი მისწრაფება, მიღრეკილება; თვით სატრაპების ხილტებიც კი შედრებიან და ქვედა მოიხრიან მის წინაშე!

გამარჯვება, რა თქმა უნდა, ფატალურათ, მისით არ მოვა. ის მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება. საჭიროა დიდი შრომა, თავგანწირულება, ნების სიმტკიცე, დიდი უნარის გამოჩენა, ხალხის დაუშრებელი ენერგიის გამოყენება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ერში სუფეს საკმაო ელემენტები, რომელნიც იკისრებენ და შესძლებენ დიადი როლის შესრულებას: ქვეყნის განთავისუფლებას. *).


*) იხილეთ „ჩვენი ქვეყანა“, № 5.

ყველა იმპერიები დაინგრენ, თუ ინგრევიან და რა-
ტომ მხოლოდ რუსის იმპერიალიზმა უნდა ითარებოს
ჩვენს პლანეტაზე?!




არის ეგება სხვა გზაც რუსეთში მომწყვდეულ ერე-
ბის განთავისუფლებისათვის და ჩვენ მუდამ მზათ უნდა
ვიყოთ, თუ ასეთი გზა გამოჩნდა. ამის გამო წინასწარ-
მეტყველება არავის შეუძლია. ერთი კი დარწმუნებით
ვიცი, რომ რუსეთი ნებით არ დასთმობს მის ბატონობას
ერებზე და ვანსაკუთერბით ბოლშევიკური რუსეთი. ვინც
ამას (დათმობას) მოელის, ის მხოლოდ საშიში ილიუ-
ზიებით იკვებება და ეს საკვები ძლიერ მავნებელია ჩვენი
საქმისათვის.

ყოველ შემთხვევაში კი პატია ერებს და კერძოთ
ქართველ ხალხს დიდი უბედურობა მოელის, თუ ის სი-
ფრთხილით არ მოიქცა და მომზადებული არ შეხვდა ყო-
ველივე შემთხვევას. ამისათვის მას მართებს გაფაციუ-
ბით თვალყური აღევნოს ქვეყნის მდგომარეობის ცვლას;
დიდი უნარი უნდა გამოიჩინოს, რომ ის სრულიათ არ
გაიჭილიროს, ვეებერთელა ქართველი თუ ამოვარდა.
ერთობა და სიფხიზლე, აი ქართველი ერის დევიზი დღეს!



მაშინ ჩოცა საქართველოს დაუბრუნდება მისი და-
მოუკიდებლობა და ხალხი გაბატონდება, „ჩვენი კისლინ-
გები“, რუსის ჩეჭმა-ტლივი „ქართველი“ ბობოლა „კო-
მუნისტები“, მათ სამშობლოს, მოსკოვს ალბათ მიაშუ-
რებენ. მათ გაჰყვება აკრეთვე ერთ მილიონამდე რუსი,
თუ სხვა ჩვენში გადმოსახლებული ხალხი (ბევრი ალბათ
ძალდატანებით გადმოსხმული), ჩასახლებული საქართ-
ველოს გასარუსებლათ და რუსებში გასათქვეფათ, რათა
ქართველობამ დაჰკარგოს მისი სახე და რუსეთის ხელი
ეპყროს მდიდარი და კეკლუცი საქართველო უქართვე-
ლოთ.



მარა სანამ ეს სანეტარო დრო (თავისუფლებისა)
დადგებოდეს, მე ნებას მივსცემ ჩემს თავს აქაურ ქართ-
ველობას, ვანსაკუთრებით და სპეციალურათ, ახალგაზრ-
დობას, რომელთაც არ ჰქონიათ ბეჭნიერება ეხილათ და
გაეცნოთ საქართველო, ჩვენს შვილებსა და შვილის შვი-

ლებს ვუთხრა: მუდამ ითიქრონ სამშობლოზე და იმუშავონ, შეძლებისდაგვირად ხელი შეუწყონ მის განთავისუფლებას სასტიკი მტრისაგან.

და მე მსურს მივმართო მათ და თვითეულს ვუთხრა:
თუმცა აქ შობილხარ, გაზრდილხარ
და გისროლია ისარი,
იცოდე, შვილო, მაინც, რომ
შენი სამშობლო იქ არი!

მაშ ვუსურვოთ გამარჯვება ჩვენს საყვარელ სამშობლოს, რომლის განთავისუფლებას თქვენ უკვიდ შემთხვევაში მოესწრებით. *)

მაისი, 1960 წ.

ზორილი ახლად „გორჯულებულს“

წავიკითხე „სამშობლოს ბმა“-ში (უფრო კანონიერი იქნებოდა მას ერქვეას „მოსკოვის ბმა“) „კომუნისტი“-დან ამოღებული ალსარება, გარდაქმნა, და ამით კმაყოფილება, ხელმოწერილი ერთ ცკანას გნელათ „გაკომუნისტებულის“ მიერ.

როგორ ვინმე უარყოფს თავის რწმენას და კიდევ მეტი, მის ყოფილ მეგობრებს ბრძოლისაც კი უწევს და სამშობლოს თავისუფლებაზე ხელს იღებს — ამას ერქმევა რენეგატი და მოღალატე.

მარა ვინაიდან შენი დღევანდელი „მოქმედება“ მიეწერება შენს სისუსტეს და ფიზიკურსა და მორალურას დაღალვას, და რასაც დღეს ამბობ, ის მოძალადების დაწოლას უნდა მივაწეროთ, ამისათვის, მე მგონია, შენ ლირისი ხარ მხოლოდ სიბრალულისა და შეცოდების.

*) ეს წერილი, ავტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ დაიბეჭდა თავის დროზე უურნალ „ჩვენს დროში“-ში; მაინც ქვეყნდება ის, მაშ, მოგვიანებით, რადგან ვფიქრობ, მას არ დაუკარგავს სავსებით აქტუალობა.

შენ კალამიც კი აიღე ხელში და „კომუნისტში“ სწერ
შენს „ბედნიერებაზე“; სწერ ჩვენს წინააღმდეგ; შენ ფი
ქრობ ეგებ, რომ ქართველი ხალხი ვერ გაერკვევა და
ვერ მიხვდება, რომ მისი „გადურაქება“ გსურს, როცა
ამდენ „ჭეშმარიტებას“ სწერ? ძალიან სცდები. შენი
დღევანდელი ასეთი „გამოსვლა“ მხოლოდ ზიზღს იწვევს
მასში (ეგებ თვით შენს დღევანდელ „მეგობრებშიაც“!),
ჩვენში კი სიბრალულის გრძნობას. შენი ლალატი უნდა
მიეწეროს, ვიმეორებ, ან შიშს, ან დაქანცულობას და ამის
გამო გაბრიყვებას. — შენ იჩოქებ ძალის წინაშე; დაგა-
ვიწყდა როგორ ზრდიდენ და ზრდიან ახალგაზრდობას?
ვის არ ახსოვს „ქართულ“ ვითომდა „კომუნისტურ“ გა-
ზეთებში რომ სწერდენ ბავშვების, ახალგაზრდების სა-
ხელით: „მამასაც მოვკვლავ, დედას დავახრჩობ, თუ კი
მიბრძანებს რევოლუცია“-ო! (ესე იგი: ოკუპანტების ძა-
ლა!) ასე რყვნიდენ და რყვნიან დღესაც ახალგაზრდობას.
მარა არათერია — და ბოლოს ისინიც გაიგებენ — გაიგეს
ალბათ კიდეც — რომ საშინელ ტყუილების ქსელში იყო
გახვეული და რაღაც არა - აღამიანურ საზოგადოებას
წარმოადგენს რუსის ბოლშევიზმი, რომელმაც ხიშტების
საშუალებით დაიპყრო თცზე მეტი ერი და სურს მომა-
ვალში მთელი მსოფლიოს უხეში ძალით ხელში ჩაგდებას.
მაგრამ სურავილი ერთია და სინამდვილე მეორე; რუ-
სეთმა ხელი უნდა თილოს ოცნებაზე; თავისუფალი ქვე-
ყანა ზედმიწევნით ვამაგრებულია და არ ფიქრობს და-
უთმოს სადმე ერთად ერთ იმპერიალისტურ სახელმწი-
ფოს, რომელიც დღეს არსებობს დედამიწაზე.

შენ ალფიჩელი ხალხის ბედს სტირი, მარა ცრემლე-
ბი შენი უნდა იყოს ფარისევლური. „ჩემი შენ ვითხარი,
გული მოგიკალი“! სწორეთ რომ ცინიკობაა, რომ საფ-
რანგეთს უსაყველურო დღეს კოლონიალიზმი, რომელმაც
უკვე გაანთავისუფლა ყველა კოლონიები, მაშინ როდე-
საც რუსეთმა ამ დროს დაადვა მკაცრი, ველური კოლო-
ნიალური უღელი ოციოდე ერს და სახელმწიფოთ და იქ
ფართვაშობს მისი დესპოტიზმით, ყალბ „კომუნიზმი“
გარვეული. და შენ იმასვე იმეორებ, ესე იგი: იმას, რა-
საც ჩაგდახებენ. მარა რატომ შენ არ მოსთხოვ რუსეთი-
დან განთავისუფლებას შენი სამშობლოს, საქართველო-
სი, რომელიც მან დაიკავა მისი ჯარით 1921 წელში (ეს
გახსოვს ხომ?) და სხვების, კავკასიის რესპუბლიკების?

ამა ივიწყებ ბალტის შეეცნებს, რომელთა ანუქანი მარჯვენა მთხვედინი პიტლენის დახმარებით — უკრაინის, პოლონეთის, უნგრეთის, სადაც 1956 წელში ხალხის აჯანყება-ჩევოლუცია მან, რუსეთმა სისხლში ჩაატარო თავისი ტანკებით?

რაც შეეხება ოლიტის, მან ისაზე გამოიყენებოდა საშუალებით და გამოიკავადა მისი დამოუკიდებლობა. საფრანგეთი დღეს და ჯერჯეტობით მხოლოდ ზრუნავს იმ ფრანგებზე, რომელნიც იქ ცხოვრობენ და რომელთაც სურა დაბრუნდენ სამშობლოში, რომ ახალმა მთავრობამ ისინი არ შეავიწროვონ. რატომ არ ხორც შენ, შენს ბატონებს, რუსებს იგივე ჭიან: დაუბრუნონ საქართველოს თავისუფლება და გაიყვანონ ჯარი და, რა თქმა უნდა, ის მილიონამდე მისი მოქალაქენიც, რომელნიც მან ჩამოასახლო ჩვენს სამშობლოში (ეგებ ბევრი მათი სურვილის წინააღმდეგაც!) მის გასარუსებლად და დაუბრუნოს მის სამშობლოს რამოდენიმე ასი ათასი ახალგაზრდა ქართველი, რომელნიც როგორც ვითომდა „მოხალისენი“ რუსეთში და კაშახსტანში გადაყარეს (იმ გვარათ რუსეთის მიზანი იყო და არის მოსპოს ქართველი ერის ხელნებაც კი).

ამ საკითხზე ასც შენგან და ასც რუსებიდან პასუხს ვერ იპოვნის აღამიანი.

ასე რომ იმის მაგიური, ოლიტზე ტყუილა-უბრალოთ თავს იტეხდე, შეეკითხე შენს ბრუშჩოვს (და მისიანებს), რომელიც ჩვენში ბატონობს*), რატომ იზის ზურგზე საქართველოს, მე მგონია, ეს უკეთესი იქნებოდა. მარა მას შემდეგ, რაც შენ მათ მხარეზე გადაბრიძანდი, ლოლიკას და კონებას ალარ აქვს აღვილი, ან რაიმე მნიშვნელობა: უნდა სთქვა და ჭიან ის, რასაც საქართველოს მაწამებელნი ვიკარნახებენ. ასეთია მათი „სოკიალიზმი“, (რომელსაც სახელი გაუტეხა და ტალახში სვრიან მას) და აღამიანის ლირსების დაფასება.

*) და რომელიც დიდი ხანი არ არის დღესასწაულობდა თავის „ქართველ“ აგენტებთან ერთათ ჩვენი სამშობლოს დაპყრობის დღეს. რას იტყვი ამაზე? ვაი სირცეცილო, სად არის შენი სიწითლე! ასეთი ცინიზმი არ გამოუჩენია ჯერ არავითარ იმპერიალისტურ სახელმწიფოს წარსულში.

ქართველოს ქალაქები, და განსაკუთრებით, დედაქალაქი, თბილისი სავსეა უცხოელების და მტრის ძეგლებით, ან ქუჩები და დაწესებულებები ატარებენ მათ სახელს. მე, რა თქმა უნდა, არ ვარ წინააღმდეგი უცხოელის, უამოჩენილის, კაცობრიობისათვის მოღვაწის პატივისცემის, მარა ჩვენი ქვეყნის მტრების, საქართველოს დამპყრობელთა და ვინც მათ ტაშს უცრავს, ხსენებაც არ უნდა იყოს საჭართველოში. ეს პირდაპირ აღმაშფოთებელია, აღამიანის ლირსების შეურაცხყოფა, დაცინვაა; წარმოუდგენელია ასეთი რამ თავისუფალ, განათლებულ ქვეყნებში.*). თბილისი სავსეა ძეგლებით ლენინისა (რომელმაც ორ მის მსგავს განგსტერთან ერთათ — სტალინთან და ტროცკისთან — საქართველოს შემოუსია რუსის ჯარი), გარუსებულ ჯულაშვილის, კიროვების, კალინინების, შაუმიანების და სხვა.... ერთ ქალაქისათვის მაიკოვსკიც კი დაურქმევიათ! რა უნდა მის ჩვენში? ცოტა ქალაქებია რუსეთში? რატომ არ არსებობს ქალაქი წერეთელი, ან ბარათაშვილი? ქართველი ერის მტრების სახელი რომ აწერია ჩვენს ქუჩებს, დაწესებულებებს, ჩვენს მიერ დაარსებულ უნივერსიტეტს, ქარხნებს, განა ეს დასაშვებია? განა ცოტანი არიან გამოჩენილი ქართველები, პატრიოტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც ასახელეს საქართველო? რათ გვჭირდები ჩვენ ლერმონტოვი და პუშკინი, რომელნიც კავკასიის ერებს ემუქრებოდენ და „უჩჩევდენ“ ლექსებით დაემორჩილეთ რუსეთს? არიან სხვა უცხოელები, გამოჩენილნი, რომელნიც ღირსნი არიან პატივის; რატომ მათ სახელს ვერსად ვაიგონებთ, როგორიც არიან მაგალითად: შექსპირი, მოლიერი, ზოლა, სერვანტესი და სხვანი?

რაც შეეხება ფაშიზმს, სჯობს შენთვის ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, ვინაიდან შენ თვითონ იკი, ქვეყანამაც

*) თქვენ ალბათ მოგწონთ, რომ ალექსანდრელები, მარკელები ანგრიუვენ ძეგლებს, რომ ხსენება არ იყოს ყოფილ დამპყრობელისა და ეს მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელმა კოლონიები მიატოვა და თავისუფლება დაუბრუნა მათ. მარა ალბათ, თქვენის აზრით, იქ ასე უნდა იყოს, ჩვენში კი სხვანაირათ არა? ორ საზომს ხმარობთ მუდამ არა?

იცის, რომ ფაშიზმისა და ბოლშევიზმის მეგობრობამ ასე იყო და არის არგენტინაშიც) დაბადა მეორე მსოფლიო ომი (შენ კი გვინია, რომ რუსები მშვიდობიანობას იცავდენ!) და ისიც უნდა ითქვას, რომ არც კი არსებობს დიდი განსხვავება ამ ორ ტოტალიტარულ მიმართულებათა შორის. ეს ფაქტია: ბოლშევიზმი არის ფაშიზმის ერთი სახე, ერთი ვარიანტი.

შენ არ „გვაძლევ“ უფლებას საჭართველო, ჩვენი სამშობლო დავიცვათ (ვინ გვითხავს შენ?). შენის აზრით, თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მონობაში მყოფი ერის სახელით (ეგებ მტერს, მომხთურს და მის ლაქიებს მეტი უფლება აქვთ, არა?), მაშინ, ბატონო, თვით ქართველმა ხალხმა ილაპარაკოს, გამოსთქვას მისი სურვილი დემოკრატიულის გზით, (როგორც ეს ხდება განათლებულ და კივილიზაციის მატარებელ ქვეყნებში). მისცენ ამის ნება!

რა თქმა უნდა, შენი დღევანდელი ბატონები ასეთ „სისულეებს“ არ ჩაიდენენ (შედეგი უიჭვოა!). სკადონ მაინც. რას იტყვი ამაზე?

შენ მაღლობას უძლვნი შენს მტრებს, რომ კიხის კარები ვაგილეს (საღაც შეგაგდეს, ვინაიდან თავისუფლება ვსურდა აღამიანისა და ერისათვის) და ნება მოგცეს, რომ შენს სამშობლოში, საჭართველოში ცხოვრების უფლება გქონდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელი, მტერი არის მანდ გაბატონებული და შენ მორჩილებას უცხადებ მას. და იმას ეძახი შენ „ბეღნიერებას“, არა? მე კი მცონია, წინააღმდეგ: უბედური უნდა იყო და საწყალი, ვინაიდან თუ დაწოვილი არ იცოცხელე მანდ, მტერი კვლავ საპყრობილის კარებს გიჩვენებს!

მაშ, ტუკ იყავი და ტყვეთ დარჩი. შენ ასე გირჩევნია (ყველაფერი გემოვნებაზეა დამოკიდებული!). წინეთ მაინც ფიზიკური იყო შენი ტყვეობა, დღეს კი სულიერათაც ტყვეთ გადაიქიცი და მიეკედლე მტერს, უცხოშვეუნის, სასტიკ იმპერიალიზმის წარმომადგენლებს და აიღე რა კალამი ხელში, შენ „გაძელულათ“ და „ვაჟკაცურათ“ მისდეჭი და ლანძლავ სხვებს და იმას, რასაც შენ წინეთ ემსახურებოდი. შენ ვირჩევნია — როგორც ჰოგიერთებს მანდ — მუცელზე ხოხვა და „გაძლომა“, მაგრამ გაძლომაც რომ არ შეიძლება?? ყველა სათვის

აშკარაა — ეხლა ველარ ფარავენ — რომ ძალიან იშვიათი
წლება, საკვები მასალა არ ყოფილა საკმაო: არც ხორცი,
არც ერბო, არც რძე პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთ-
ში და სხვაგან. ჩინეთში ხომ ნამდვილი სიმშილობაა (ასე
იცის ბოლშევიზმა!) და როგორც რუსეთის იმპერიაში
ექსპლოატაცია მშრომელისა უსაზღვროა... ხალხი გარ-
ბის მილიონობით. რაც შეეხება რუსეთს, არც იქ არის
საქმე კარგათ; იქაც იძულებული არიან აღარ დამალონ,
რომ სამეურნეო დარგში ზედმიწევნით სუსტობენ და სა-
ნოვაგე აკლიათ (გამოდის, რომ მცხოვრებლებს არ ყო-
ფნის უცქიროს საპროპაგანდოთ შექმნილ „სპუტნიკებს“,
მთვარეზე მოგზაურობას და ატომიური ყუმბარების გრი-
ალს უსმინოს — კუჭი თურმე ამით არ ივსება!). მათ გა-
ზეთებში ვეღარ უშლიან ამაზე წერას. აი, მაგ. იხ. „პრავ-
და“, სამი ივნისის 1962 წლისა, სადაც თქვენ ამოიკით-
ხავთ, სხვათა შორის, ხრუშჩოვის (ამ „კრესტიანსკი კა-
რის“ — ასე ეძახიან მას საწყალი მუჟიკები — მათ გო-
ნიათ, როცა ვინმე ბატონობს, უნდა იყოს მეფე! ააა
უნდა მოელოდე ასეთი ერისაგან!) აღსარებას:


„ჩვენ სოფლის მეურნეობაში დიდი მიღწევები გვაჭვს
(ნაჩალ ონ ზე ზღრავიე. ანუ.) ამ უკანასკნელი რვა წლის
განმავლობაში (ე. ი. მას უნდა სთქვას: მას შემდეგ, რაც
ის გახდა დიქტატორი, ანუ.), მარა მიუხედავათ ამისა ჩვენ
დიდ სიძნელეს ვეჯახებითო. საქმე იმაშია (თავს იმართ-
ლებს. ანუ.), რომ წარმოების გადიდებასთან ერთათ ჩვენ
მივუმატეთ პენსიები; ივსწიეთ მუშის ხელფასი და... ამის
გამო გამრავლდა მოსახლეთა ფულის შემოსავალი. ჩვენ
ასე ვიმოქმედეთ კარგის განზრისხვით. და აი, გადაველო-
ბეთ სიძნელეს იმიტომ, რომ ამის გამო ხალხს დაურჩა
მეტი ფული, ვიდრე საჭირელი, რასაც მოპყვა მაღაზიებში
რიგები და კუდები... ჩვენ გვაკლია ხორცი, ერბო; უნდა
ვსთქვა, ამხანაგებო, რომ ერბო ჩვენში თითო კაცზე მო-
დის მეტი (აბა, ჩა უნდა სთქვას? ანუ.), ვინემ ამერიკაში,
კაპიტალისტური ქვეყნების უუმდიდრეს სახელმწიფოში.
მარა ამერიკაში მაღაზიები ერბო რამდენიც გინდათ, იმ-
დენია, ჩვენ კი არა გვაჭვს საკმაოთ (კონჩილ ზა უპოვო!
ანუ). რატომ ხდება ასე? კაპიტალისტური ქვეყნები გა-
ვსებულია საუკეთესო საჭირელით, მარა მისი შეძენა შე-
უძლია. იმას, ვისაც ფული აქვს, მარა ასეთ ხალხი კო-

ტაა (რა ქნას, აბა, რომ არ იტყუოს. ანუ.) ამერიკაში 4-5
მილიონი უმუშევარია და ისინი მოკლებული არიან სა-
შუალებას ისარგებლონ ქვეყნის სიმდიდრით (მარა ხრუ-
შჩოვი მალავს, რომ ამერიკაში უმუშევარი მეტს „ჯამა-
გირს“ იღებს, ვინემ რაუსეთის იმპერიაში მომუშავე ხალ-
ხი. ანუ.). შეიძლება გვითხრან, რომ მოვუმატოთ ხელ-
ფასი. მერე რა გამოვა! ჩვენ ფასს მოვუმატებთ და ამავე
დროს ხელფასსაც; მარა გაიზრდება ფულის რაოდენობა,
და ხორცის საჭიროება კი არ დაიკლებს, ვინაიდან არ
არის საკმაო რორცი“-ო.

ეს უნდა გაიგოს ხალხმაო, უმატებს დიჭმატორი და
ვისაც არ სურს გაგება, იმათთვის საჭირო შეიქნება ზო-
მები, რომ „გაავებინონ“, ე. ი. ალბათ ეს ნიშნავს: რეპ-
რესიები უკმაყოფილოთათვისო!

რომ „ანუგეშოს“ მისი ქვეშევრდომები, ხრუშჩოვი
უმატებს: „ამერიკაში მშრომელის დიდი მასსა სიმშილს
განიცდის! რასაკვირველია, ეს ტყუილია: არა თუ ამე-
კაში, არსად დასავლეთ ქვეყნებში ადამიანს არ შია. ეს
სიმშილი არსებობს მხოლოდ რაუსის დესპოტის ოცნება-
ში, რათა ასეთი ტყუილებით „გააძლოს“ მისი მშიერი.

დიალაცი, მუცელზე „ხოხვა“ და „გაძლომა“, რასაკვირ-
ლია, თავისუფალ ადამიანს, ეზარება; ეზიზლება ივ-
რეთვე ერთაც. ამ უკანასკნელს ურჩევნია ფეხზე იდგეს
და არ იყოს დაწინაური მტრის წინაშე. თუ დღეს ის ხმას
ვერ იღებს, ეს არ ნიშნავს, რომ ის მას ემორჩილება; არა-
მედ დროს ელის, როცა ის, — როგორც სხვა ტყვე-ერები
რუსეთის იმპერიაში — ბორცვილებს აიყრის და თავისუ-
ფალი შეიქნება. მაშინ შენ და შენთერები — თუ ამ ქვეყ-
ნათ დარჩით — სხვა ჰანგზე იმღერდებით. ასეთია ბედი
დამონებული აღამიანის.



დაბოლოს მე ერთ წინადაღებას ვიძლევი:

ვინაიდან ყველა თქვენ აწერთ თქვენს ვითომდა „გა-
ბედნიერებას“ საბჭოთა სისტემა-მართველობას, ესე ივი:
პოლიტიკურ რეჟიმს, რომელსაც დემოკრატიასთან არა
აქვს არავითარი კავშირი, ამისათვის ჩვენ დავთანხმდე-
ბით, მივიღებთ საბჭოს, (მარა არა სხვას, გარდა ბატონო-
ბას ჩვენზე), ოლონდ რუსეთმა დაგვირცხული ჩვენი ერის
დამოუკიდებლობა, რომელიც ქართველი ხალხის უდიდესი მი-



1918 წელში; გაიყვანოს ჯარი, ესე იგი: დავრჩეთ ისე, როგორც დღეს არის იუგოსლავია. ამისათვის რუსეთს შეუძლია დაეყრდნოს მის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციაზე, რომლის მეჩვიდმეტე მუხლის ძალით ყველა ერს — თუ ამას მოითხოვს — უფლება აქვს გავიდეს „კავშირიდან“ (რომელშიდაც, როგორც ვიცით, ნებით არავინ არ შესულა). — აბა, სინჯეთ ეს საჭმე! CHICHEI როგორც იტყვიან ფრანგები.

რა თქმა უნდა, ქართველი ხალხი, ვინაიდან ის იქნება თავისი თავის პატრონი, თვითონ გადასწყვეტს შემდეგში, თავისუფლათ, თუ რა გზას დაადგეს, ესე იგი: დაამყაროს ნამდვილი, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი*), რომლის საშუალებით ახლო მომავალში გადააჭცევს იქ დღეს არსებულ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს დემოკრატიულ სოციალიზმათ.

თუ ეს მოხდა, რა თქმა უნდა, საქართველო, ქართველი ერი შეიქნება მეგობარი ყველა ერების და მათში რუსეთის ხალხისაც. აბა, მოიფიქრე ამაზე!

თბილისი, 1962 წ.



P. S. წინდაწინ შეგვიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამაზე რესის იმპერიალიზმი არ დათანხმდება. რატომ? იმიტომ, რომ — თუმცა მას აინტერესებს მის მიერ შექმნილი მკაცრი და არა-აღამიანური რეჟიმი, რომელსაც ის თვზე ახვევს დაპყრობილ ერებს, მარა აინტერესებს ნაკლებათ, ვინემ — და ეს არის მთავარი მიზანი კოლონიალიზმისა — თვით ხალხი, რომლის დაბეჭივება და ვარუსება მას სურს, და განსაკუთრებით ტერიტორია, რომელსაც ის ყველეფს ეკონომიკურად და ხმარობს აუტოთვე მას სტრატეგიული მიზნით.

*) შეიქმნას წევრი გაერთიანებული ევროპის ოსტანიზაციისა.